

შპს აი.ელ.ეფ კონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	10
4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	11
5. შესყიდული მომსახურებები	11
6. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	11
7. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	12
8. ძირითადი საშუალებები	13
9. გადახდილი ავანსები	14
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
12. საგასახადო ვალდებულებები	15
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16
16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯიას“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯიას“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (მსს ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვგერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

კომპანიის, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის ფინანსური ანგარიშგებები არის მომზადებული სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც ამ ანგარიშგებებზე 2021 წლის 17 მაისს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორ ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ასსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიბი“ (SARAS-F-550338)

29 აპრილი, 2022

თბილისი, საქართველო



Closer to you

შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	4	9,676,320	12,179,521
სხვა საოპერაციო შემოსავალი		107,211	188,032
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი		9,783,531	12,367,553
შესყიდული მომსახურება	5	(2,928,617)	(3,223,317)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულთა ანაზღაურება		(4,456,047)	(7,072,776)
ფინანსური აქტივების რეზერვის აღდგენა	10	708,681	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	10	(59,993)	(1,144,758)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	6	(313,877)	(645,621)
საიჯარო ხარჯები		(258,156)	(191,638)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(522,433)	(455,458)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		1,953,089	(366,015)
საკუროს სხვაობით გამოწვეული (ზარალი), ნეტი		(178,410)	(8,937)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		1,774,679	(374,952)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		1,774,679	(374,952)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,774,679	(374,952)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 29 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი გურგენიძე

ფინანსური კონტროლიორი



ელენე წოჭერია

9-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აი.ელ.ფი ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	170,488	252,790
		170,488	252,790
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		770	1,392
გადახდილი ავანსები	9	49,248	154,098
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	4,370,677	4,708,316
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	2,903,621	1,469,107
		7,324,316	6,332,913
სულ აქტივები		7,494,804	6,585,703
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		3,504,683	1,730,004
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	12	381,035	255,669
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,609,086	4,600,030
		3,990,121	4,855,699
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,494,804	6,585,703

9-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აი.ელ.ფვ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(In GEL)

	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	2,104,956	2,104,956
მთლიანი სრული შემოსავალი	(374,952)	(374,952)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1,730,004	1,730,004
მთლიანი სრული ზარალი	1,774,679	1,774,679
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,504,683	3,504,683

9-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აი.ელ.ფ კონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,774,679	(374,952)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	74,245	70,243
ზარალი (მოგება) ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		(3,230)	(2,456)
ფინანსური აქტივების რეზერვის აღდგენა	10	(708,681)	-
ფინანსური აქტივების გაუფასურება	10	59,993	1,144,758
საკურსო სხვაობით გამოწვეული (მოგება) ზარალი		178,410	8,937
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		1,375,416	846,530
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		715,815	(2,585,200)
მარაგების (ზრდა)/შემცირება		621	(459)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება		104,850	299,176
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(731,245)	1,685,631
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		125,366	(126,014)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		1,590,823	119,664
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(3,180)	(87,713)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		14,469	5,593
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		11,289	(82,120)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		1,602,112	37,544
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	11	1,469,107	1,065,243
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		(167,598)	366,320
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	11	2,903,621	1,469,107

9-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აი.ელ.ფი კონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2017 წლის აპრილში ILF Group Holding LLC-ის მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, კრწანისის ქუჩა #22/24.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროფესიონალური საკონსულტაციო, საინჟინრო, საზედამხებველო, ინფრასტრუქტურული და საპროექტო მომსახურების გაწევა.

ILF Group Holding LLC (შობელი კომპანია) ფლობს კომპანიის 100%-ს, რომელიც თავის მხრივ არის შვილობილი კომპანია LF Beteiligung GmbH-ის. აქციონერები არიან: კლაუს ლასერი; კარინ ლასერ-ვაილჰარტენერი, ბერნჰარდ ლასერი. კომპანიის დირექტორია გიორგი გურგენიძე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მოგებამ 2021 წელს შეადგინა 1,774,679 ლარი, ხოლო მთლიანმა აქტივებმა მთლიან ვალდებულებებს გადააჭარბა 3,334,196 ლარით (1,477,214 ლარით 2020 წელს). შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქმიანობის უწყვეტობის ცნება არის შესაბამისი კომპანიისთვის. კომპანია არ აპირებს ოპერაციების შეწყვეტას შემდგომ პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორიცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის, რომლებიც ჩაწერილია ნეტო ღირებულებით, ანარიცხები წარმოდგენილია ცალკე რეზერვის ანგარიშზე, ზარალის აღიარებით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს, მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან. ჩვეულ საქმიანობაში, კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებას მათი რეალური ღირებულებით, როცა ასეთი ოპერაციებისთვის არ არის აქტიური ბაზარი, გადაწყვეტილებები მიიღება იმის განსაზღვრით ოპერაციები ბაზრის ფასით არის შეფასებული, თუ არა. არსი ამ გადაწყვეტილების მიღების არის ღირებულების შეფასება მსგავსი ოპერაციებისთვის არამოკავშირე მხარეებთან.

4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2021	2020
სატრანსპორტო სექტორი	3,795,231	5,505,489
ენერგო სექტორი	1,176,895	4,708,204
მუნიციპალური და წყლის ინფრასტრუქტურა	3,427,252	1,938,117
ინფრასტრუქტურა	1,276,942	-
სხვა	-	27,711
მთლიანი შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	9,676,320	12,179,521

5. შესყიდული მომსახურებები

შესყიდული მომსახურებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2021	2020
სხვა	1,868,006	3,208,039
დაკავშირებული მხარე	1,060,611	15,278
მთლიანი შესყიდული მომსახურებები	2,928,617	3,223,317

6. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებულია ILF Group Holding Austria GmbH-ის მიერ გაწეული მომსახურება, როგორიცაა მარკეტინგი და კომუნიკაცია, დავებისა და რისკების მართვა, კომერციული კოორდინაცია, ტექნიკური ექსპერტიზა, ადამიანური რესურსები და სხვა.

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2021	2020
პროფესიული მომსახურება	184,239	68,296
ცვეთა	74,245	70,243
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	47,697	18,372
კომუნალურები	38,767	23,684
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	30,583	2,457
მივლინება	19,617	90,457
ძირითადი საშუალების გაყიდვის შედეგად მიღებული ზარალი	22,395	-
კომუნიკაციის ხარჯები	14,404	15,093
საოფისე ხარჯები	12,479	22,727
დაზღვევა	12,059	51,409
საწვავი	10,977	10,288
ბანკის საკომისიო	6,161	7,701
სხვა	48,810	74,731
მთლიანი სხვა საოპერაციო ხარჯები	522,433	455,458

შპს აი.ელ.ეფ ქონსალიონგ ენჯინიერს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარი)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	ავტომობილები	მანქანა-დანადგარები	ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	148,531	85,407	32,984	37,180	304,102
შემოსვლა	28,655	59,058	-	-	87,713
გასვლა	-	(5,222)	-	-	(5,222)
2020 წლის 31 დეკემბერი	177,186	139,243	32,984	37,180	386,593
შემოსვლა	3,179	-	-	-	3,179
გასვლა	(7,163)	(19,759)	-	-	(26,922)
2021 წლის 31 დეკემბერი	173,202	119,484	32,984	37,180	362,850
დაგროვილი ცვეთა					
2019 წლის 31 დეკემბერი	(28,072)	(25,013)	(8,999)	(3,561)	(65,645)
ცვეთა	(32,312)	(23,942)	(6,600)	(7,389)	(70,243)
გასვლა	-	2,085	-	-	2,085
2020 წლის 31 დეკემბერი	(60,384)	(46,870)	(15,599)	(10,950)	(133,803)
ცვეთა	(35,634)	(24,671)	(6,597)	(7,343)	(74,245)
გასვლა	3,632	12,054	-	-	15,686
2021 წლის 31 დეკემბერი	(92,386)	(59,487)	(22,196)	(18,293)	(192,362)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2020 წლის 31 დეკემბერი	116,802	92,373	17,385	26,230	252,790
2021 წლის 31 დეკემბერი	80,816	59,997	10,788	18,887	170,488

კომპანია აქვს სრულად ამორტიზებული აქტივები, საერთო ღირებულებით 5,586 ლარი (2020: 0 ლარი).

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული გირავნობის ქვეშ.

9. გადახდილი ავანსები

გადახდილის ავანსები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2021	2020
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	26,323	128,797
წინასწარ გადახდილი იჯარა	16,102	18,621
სხვა	6,823	6,680
სულ გადახდილი ავანსები	49,248	154,098

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2021	2020
დაკავშირებული მხარისგან	3,818,038	5,552,123
სხვა	633,974	300,951
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(81,335)	(1,144,758)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,370,677	4,708,316

ცვლილებები გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი 1 იანვრისთვის	1,144,758	-
ზრდა	59,993	1,144,758
აღდგენა	(708,681)	-
ჩამოწერა	(414,735)	-
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	81,335	1,144,758

დებიტორული დავალიანება დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს 362 ათასი ლარის საკონტრაქტო აქტივებს (2020 წელი: 600 ათასი ლარი). საკონტრაქტო აქტივი უკავშირდება პროექტს „საქართველო-მეოთხე-აღმოსავლეთი-დასავლეთი-საავტომობილო გზის გაუმჯობესება“, რომელიც დასრულდება 2022 წელს. კომპანიის შემოსავლები ამ პროექტზე გამოითვლება გაწეული ხარჯების პროპორციულად და უნდა იყოს გაწეული 2021 და 2022 წლებში.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2021	2020
ფული სალაროში	1,938	3,894
ფული ბანკში	2,901,683	1,465,213
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,903,621	1,469,107

საბანკო ანგარიშებზე ნაღდი ფულის ნაშთები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც არარისკიანი.

12. საგასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზისო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც ვალდებულებას, შესაბამისად 381,035 და 255,669 ლარის ღირებულებით.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2021	2020
დაკავშირებულ მხარესთან	2,134,937	2,690,279
სხვა	1,236,874	1,544,633
ხელფასები და ბონუსები	237,275	365,118
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,609,086	4,600,030

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ცხილებში:

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Beratende Ingenieure AG	ILF Consulting Engineers Austria GmbH (Representation) in Georgia	ILF BUSINESS CONSULT GMBH
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	13,424	3,804,614	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	314,509	-	1,680,269	140,160
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	-	88,609	5,757,651	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	5,705	134,500	-
შესყიდული მომსახურებები	-	-	(474,467)	(586,144)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(314,509)	-	-	-
რეზერვის აღდგენიდან მიღებული შემოსავალი	-	4,130	698,620	-

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Beratende Ingenieure AG	ILF Consulting Engineers Austria GmbH (Representation) in Georgia
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	412,963	5,139,160
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	645,621	-	2,044,658
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	-	663,076	10,291,684
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	21,933	151,313
შესყიდული მომსახურებები	-	-	(15,278)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(645,621)	-	-
გაუფასურების ხარჯი	-	(4,130)	(1,113,355)

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ 2021 წელს შეადგინა 962,599 ლარი (2020: 950,924 ლარი)

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ ყოფილა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც მოითხოვდა გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს, მათ შორის კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ზანკის გაცვლითი კურსები:

	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეული საქმიანობისას მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. შემოსავალი გამოხატავს გაყიდვების ნეტ ღირებულებას - დღგ-ს, ფასდათმობისა და უკან დაბრუნების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს; და

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

კომპანია გარიგების ან ხელშეკრულების დასრულების ეტაპს განსაზღვრავს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ყველაზე საიმედოდ განსაზღვრავს შესრულებულ სამუშაოს: საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების დაბიუჯეტებულ დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით. გაწეული ხარჯები არ მოიცავს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა მასალები ან წინასწარი გადახდები.

როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ანაზღაურებადი ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა რწმუნებულის ოპერაციებისა, როდესაც იგი უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას მესამე მხარის საშუალებით. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც კომპანიას არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობას ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად არ იქნება ამორტიზებული. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	5
ავტომობილები	5-8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება ალემატება თუ არა შესაბამისი აქტივის ალდგენით ღირებულებას. ალდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშობა მაშინ როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პიოზების მიხედვით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, რომელიც განისაზღვრება დაბეგრამდე განაკვეთით და ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას.

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;
- ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა.
- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- პირი, ნახსენები (ა) (i) პუნქტში, ფლობს მნიშვნელოვან ხმის მიცემის უფლებას
- პირს, ნახსენები (ა) (ii) პუნქტში, აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა
- პირი, რომელსაც გააჩნია ორივე, როგორც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება, ასევე კონტროლის.
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრს აქვს კონტროლი ამ საწარმოზე.